აუტიზმისა და ADHD-ის მქონე მაღალი ფუნქციონირების ახალგაზრდებში სუიციდის რისკი შესაძლოა შეუმჩნეველი დარჩეს

2026 წელს ჟურნალ **Discover Mental Health**-ში გამოქვეყნებული მიმოხილვის მიხედვით, აუტიზმის სპექტრის აშლილობის(ASD), ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის აშლილობის (ADHD) მქონე ახალგაზრდებში სუიციდური აზრებისა და ქცევის რისკი შესაძლოა განსაკუთრებით მაღალი იყოს მაშინაც კი, როდესაც მათ მაღალი ინტელექტუალური შესაძლებლობები, კარგი აკადემიური მოსწრება და ფუნქციონირების მაღალ ხარისხს ავლენენ. ავტორები აღნიშნავენ, რომ სწორედ ეს მახასიათებლები ზოგჯერ ართულებს პრობლემის დროულ ამოცნობას.

მიმოხილვაში გაანალიზებული მონაცემები აჩვენებს, რომ აუტიზმის მქონე ადამიანებში სუიციდური აზრები და სუიციდის მცდელობები საერთო პოპულაციასთან შედარებით უფრო ხშირია. ერთ-ერთი მეტაანალიზის მიხედვით, ASD-ის მქონე პირებში სიცოცხლის განმავლობაში სუიციდური აზრების გავრცელება დაახლოებით 37.2%-ს, ხოლო სუიციდის მცდელობის მაჩვენებელი 15.3%-ს აღწევდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ რისკი შესაძლოა მაღალი იყოს ინტელექტუალური დარღვევის არმქონე და მაღალი კოგნიტიური შესაძლებლობების მქონე ადამიანებში.

რატომ შეიძლება მაღალი ინტელექტი დამცავ ფაქტორად არ მოქმედებდეს?

ავტორები აღნიშნავენ, რომ მაღალი კოგნიტიური შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდებს ხშირად შეუძლიათ საკუთარი აუტისტური თავისებურებების შენიღბვა. ე.წ. „კამუფლაჟი“ შეიძლება მოიცავდეს სოციალური ქცევის წინასწარ სწავლას, სხვების იმიტაციას, ემოციური თუ სენსორული საჭიროებების დამალვას და საზოგადოებრივ მოლოდინებთან მუდმივ ადაპტაციას. მიუხედავად იმისა, რომ ეს სტრატეგიები გარეგნულად უკეთ ფუნქციონირების შთაბეჭდილებას ქმნის, მათი ხანგრძლივი გამოყენება შესაძლოა დაკავშირებული იყოს ემოციურ გადაღლასთან, შფოთვასთან, დეპრესიასთან, საკუთარი იდენტობის აღქმის სირთულესთან და სუიციდურ აზრებთან. შესაბამისად, კარგი აკადემიური მოსწრება, ან მაღალი IQ ავტომატურად არ ნიშნავს ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას.

ერთ-ერთ კვლევაში 120-ზე მაღალი IQ-ის მქონე აუტისტურ პირებში სუიციდური აზრები 12.9%-ში აღინიშნა, მაშინ როდესაც ანალოგიური ინტელექტუალური შესაძლებლობების მქონე ნეიროტიპურ საკონტროლო ჯგუფში ეს მაჩვენებელი 2.4% იყო. მკვლევართა აზრით, მაღალი თვითცნობიერება, სოციალური შედარება და საკუთარ შესაძლებლობებთან დაკავშირებული მაღალი მოლოდინები გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება დამატებით ფსიქოლოგიურ დატვირთვას ქმნიდეს.

ADHD დამატებით ზრდის სირთულეს

ASD-ისა და ADHD-ის თანაარსებობა რისკის შეფასებას კიდევ უფრო ართულებს. ADHD-სთან დაკავშირებულმა იმპულსურობამ და ემოციური რეგულაციის პრობლემებმა შესაძლოა გაზარდოს სწრაფად განვითარებული სუიციდური ქცევის რისკი. ამავე დროს, ADHD ხშირად უფრო ადრე დიაგნოსტირდება, ხოლო აუტიზმისთვის დამახასიათებელი სოციალური კომუნიკაციისა და ადაპტაციის სირთულეები შეიძლება შეუმჩნეველი დარჩეს. ასეთი ახალგაზრდები შესაძლოა ზედაპირული დაკვირვებით ფუნქციონირების მაღალი ხარისხით გამოირჩეოდნენ, თუმცა ამავე დროს განიცდიდნენ თანატოლების მხრიდან უარყოფას, ჩაგვრას, სოციალურ იზოლაციას, ან მუდმივ დაძაბულობას გარემოსთან ადაპტაციის გამო.

რატომ შეიძლება სტანდარტულმა შეფასებამ რისკი ვერ გამოავლინოს?

მნიშვნელოვანი პრობლემა ისიცაა, რომ სუიციდის რისკის შეფასების მრავალი სტანდარტული ინსტრუმენტი თავდაპირველად ნეიროტიპური პოპულაციისთვის შეიქმნა. აუტიზმის მქონე ახალგაზრდებში ემოციური მდგომარეობის გამოხატვა შეიძლება განსხვავებული იყოს. ალექსითიმია ასევე შესაძლოა ხელს უშლიდეს როგორც პაციენტს, ისე მშობელს, ან ექიმს პრობლემის დროულად ამოცნობაში. ამიტომ გარეგნული სიმშვიდე, კარგი აკადემიური შედეგები, ან პრობლემებზე ღიად არსაუბარი აუცილებლად არ მიუთითებს დაბალ რისკზე. ავტორები ხაზს უსვამენ, რომ მაღალი ფუნქციონირების მქონე ახალგაზრდებში დისტრესი ხშირად შინაგანად ვითარდება და შეიძლება გამოვლინდეს შფოთვით, განმეორებითი ნეგატიური ფიქრებით, სოციალური იზოლაციით, ან ემოციური არასტაბილურობით.

რა უნდა შეიცვალოს?

მკვლევრები საჭიროდ მიიჩნევენ აუტიზმზე მორგებული სუიციდის რისკის შეფასების ინსტრუმენტების განვითარებას, ადრეულ დიაგნოსტიკას და მხარდაჭერის ისეთი სისტემების შექმნას, რომლებიც მხოლოდ გარეგნულ ფუნქციონირებას არ დაეყრდნობა. პერსპექტიულ მიმართულებებს შორის სახელდება ინდივიდზე მორგებული უსაფრთხოების გეგმები, თანატოლთა მხარდაჭერა, ოჯახისა და მასწავლებლების ფსიქოგანათლება და მხარდამჭერი გარემოს შექმნა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ჩაგვრის, სოციალური იზოლაციისა და მუდმივი „კამუფლაჟის“ საჭიროების შემცირება.

ავტორების დასკვნით, აუტიზმისა და ADHD-ის მქონე მაღალი კოგნიტიური შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდები შეიძლება წარმოადგენდნენ სუიციდის რისკის თვალსაზრისით განსაკუთრებით რთულად ამოსაცნობ ჯგუფს. შესაბამისად, შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ აკადემიურ, ან სოციალურ წარმატებას, არამედ განვითარების ისტორიას, ემოციურ მდგომარეობას, თანმხლებ ADHD-ს, სოციალურ გამოცდილებას და ინდივიდის მიერ საკუთარი სირთულეების შენიღბვის შესაძლებლობას.